

ქეთევან ქუთათელაძე

ქართულ წყაროებში მოხსენიებული საზღვრის აღმნიშვნელი სახელწოდებები

ქართული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას განსაზღვრავდა და არეგულირებდა სახელმწიფო საზღვრი, მისი დაცულობა. ამიტომ, საზღვრის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ახსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საზღვრის განსაზღვრის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ტერიტორიის ფიზიკური მახასიათებლები (ქედი, ხეობა, მდინარის ნაპირი), რომელთაც მიჰყვება ფიზიოგრაფიული საზღვარი. ამ მხრივ, საზღვრის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი ტერმინებია: **თავი/სათავე/თხემი (შდრ. მდინარის სათავე, „თხემი მთისა“), კიდე/კიდური - მხარე („ქუეყნის კიდე“, შდრ. ზღვის კიდე ან მდინარის ნაპირი („მდინარეთა კიდურნი“). საზღვრების მიმართულების ჩვენებისთვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. ასევე, შიდა მიმართულებას განსაზღვრავს „ქუემო/ქუემო-კერძო“, „ზედა/ზემო/ ზემოთ კერძო/ზეით“, „შუა/შუათი“, „შორისი/შოვრისი“¹, „იმიერი/ამიერი“.**

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში შემორჩენილია ისეთი სახელწოდებები, როგორცაა **„ზემო ქართლი“², „ზენა სოფელი“** („რომელი არს შიდა ქართლი“), **„ზემონი ქუეყანანი“, „ზედაზენი“, „ზემო ოშორა“, „შუა-მთიულეთი“, „შუა ქართლი“, „შუა მთა“, „შუა-ცხვრის მთა“, „ქუემო ქართლი/ქუემოთ ქართლელნი“, „ქუემო ტაო“, „ქუენა-ტკოცა“, „ქუენადრისის გზა“** და სხვ. (ქართლის ცხოვრება 1955, 10, 17, 24, 241, 242, 251, 273, 326; ქართლის ცხოვრება 1959, 353, 469, 482, 492; ქართლის ცხოვრება 1973, 362, 375, 376, 422, 666, 696). ძველ ქართულად „იმიერი“ ნიშნავს „იქეთ, გაღმა, გადაღმა (აბულაძე 1973, 188). ამ მნიშვნელობით წყაროში გვხვდება მხარეთა შემდეგი სახელწოდებები: **„იმიერ-ტაო“** - „და აოჯრდა იმიერ-ტაო“ (ქართლის ცხოვრება 1955, 278, 382); **„იმერეთი“** - „მას ჟამსა მეფე (დავით აღმაშენებელი - ქ.ქ.) გარდავიდა იმერეთს“ (ქართლის ცხოვრება 1955, 331), **„იმერჯევის-კევი“** (მამას ხეობაში) (ქართლის ცხოვრება 1973, 344), **„გაღმა-მჭარი“**, რომელიც მოიცავდა ისტორიული ჰერეთის ნაწილს³. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“

¹ „შორის/შოვრის“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „შუაში“. მას შეესაბამება „საშუალი/საშუალო“, რომელიც „ეწოდების ყო(ვ)ელთა შუაობით მყოფთა“ (ოებელიანი 1993, 65, 306). იხ. აგრეთვე, „შუვა, შოვა, შუა, „საშოვალ“, შორის“ - (აბულაძე 1973, 508).

² „ქართლის ცხოვრების ხელნაწერთა მინაწერებში აღნიშნულია, რომ „შიდა-ქართლი არს ტასისკარს ქვეითი; ზემო ქართლი არს ტასისკარს ზემო სამცხე და კლარჯეთი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 10, 24). „ზემო ქართლი“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ სახელწოდებათ მიაჩნდა დ. ბერძენიშვილს. ვახუშტი ბაგრატიონს „ზემო ქართლად“ შემდგომ მიაჩნია სამცხე (ქართლის ცხოვრება 1973, 134, 667, 696, 700), სადაც გვიან პერიოდში „სამცხე-საათაბაგო“ იგულისხმებდა. დ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ XVI ს-დან „ზემო ქართლი უკვე SW საქართველოს კი არ ეწოდება, არამედ, შიდა ქართლის W ნაწილს“ (ბერძენიშვილი 1985, 5). ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ.: დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი - თორი და ჯავახეთი, თბ., 1985 (გვ. 3-6).

³ ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, მას „ზღვრის: აღმოსავლით კავკასი ლეკეთისა, დიდოეთისა და თუშეთისა და ამას შორისი, სადაცა გარდავლენანცა გზანი მათ შინა გაღმა-მჭრიდამ; სამჭრით ელისენის საზღვარი, დასავლით ალაზნის მდინარე; ჩრდილოთ მთა კავკასი, ამას და თუშეთს შორისი, სადაცა გარდავალს გზა თუშეთს, და საზღვარი პანკისისა“ (ქართლის ცხოვრება 1973, 551). ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ შტორის საერისთავო - „შტორის ჯევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ

აღნიშნავს, რომ თამარის მეფობის დროს, „ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ, ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ, და ყოველგან ძლევა შემოსით და გამარჯუებით“. ისტორიკოსი, ასევე ასახელებს „იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შჯდთავე თემს“ (ქართლის ცხოვრება 1959, 30, 39). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ბოლნისის ბრძოლის წინ, ჯალალედინის წინააღმდეგ, რუსუდან მეფემ „მეჰკრიბნა იმერნი და ამერნი, ზემო-ქუემონი“; მონღოლებთან დაზავების შემდეგ რუსუდანმა „წარავლინა ძე თვისი დავით ნოინთა თანა და წარყვენ ყოველნი წარჩინებულნი ამერნი, იმერნი, ზემო-ქუემონი“ (ქართლის ცხოვრება 1973, 204, 207). თემურ-ლენგის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, „მაშინ დაუტევეს ქუემო-კერძონი იგი სანახებნი ქართლისანი, და წარვიდეს ზემოთ კერძო შიდა ქართლად, რომელსა აწ ზემო ქართლად უწოდენ“ (ქართლის ცხოვრება 1959, 452).

ნ. ბერძენიშვილის ახსნით, „საზღვარი უფლების, მფლობელობის აღმნიშვნელი მომენტია ... რომლის შიგნით ამა თუ იმ კოლექტივის (წარმოებითი) ურთიერთობა ხორციელდება. აქედან, ბუნებრივად საზღვარი შეერქვა თვით იმ ტერიტორიასაც, რომელზედაც ეს უფლება ვრცელდება“ (ბერძენიშვილი 1990, 104). „ქართლის ცხოვრებაში“ ორი მნიშვნელობით განიხილება საზღვარი, როგორც გამყოფი ხაზი ან სივრცე, სხვადასხვა სოციუმებსა და ქვეყნებს შორის, ასევე, პოლიტიკურად კუთვნილი ტერიტორია - მაგ., „საზღვარსა (საზღვართა) ქართლისასა“/, „ქართლისა საზღვარსა“, „საზღვარსა ბერძენთასა“, „საზღვართა სპარსეთისაგანთა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 38, 44, 45, 49, 50, 65, 136, 137).

საზღვარი ასევე, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მხარე, ქვეყანა, მაგ., ასურელ მამათა ცხოვრებიდან ჩანართში იოანე და მისი მოწაფეები დასახელებული არიან, როგორც „ერთისა საზღვრისანი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 213), რაც ერთ ქვეყანაზე მიუთითებს.

საზღვარი, როგორც გამყოფი ხაზი ან მომიჯნავე სივრცე მომდინარეობს „ზღვრიდან“ (ზღვარი). ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ზღვრობა/ზღვანვა“ ახლოს ყოფნას ნიშნავს (აბულაძე 1973, 171, 357). მისგან მომდინარეობს „მოზღვანე, მოზღვანე, მოძღვანე, მოსაზღვრე“, მეზობელი, „მოზღვრე“ (აბულაძე 1973, 263, 275). ასევე, „ეზღვრებოდა“ (ეზღვრებოდა) მოსაზღვრე/მოსამძღვრე“ ან „მახლობელ იყო“, ან „ეზღვანვის/ეზღვანვის“ - ესამძღვრების, „იზღვანვის/იზღვანვის - საზღვარ ექმნების“, „ვსაზღვრავ/ვსაზღვრევი“ - „საზღვარს ვდებ“, „მსაზღვრავი“ - საზღვრის დამდები“, „მოზღვრენი/მოზღვრენი“ - მოსაზღვრენი (ორბელიანი 1991, 291, 232, 271, 325, 497, 520). „ზღვარის“ ფონეტიკური ფორმაა „ზღვარი“. ფშავ-ხევსურულ დიალექტზე „მძღვარი“ არის საზღვარი, სხვა მნიშვნელობით, „ორი ყანის მიჯნა“ (დლონტი 1984, 396). დოკუმენტებშიც მოიხსენიება „ზღვარი/მძღვარი“. საზღვრის, მიჯნის შექმნას, „საზღვრის დადება“ ეწოდება (აბულაძე 1973, 357). „ქართლის ცხოვრებაში“ ხშირად მოიხსენიება „უჩინა საზღვარი“, რომელიც გარკვეული პოლიტიკური სივრცის ან წილხვდომილი ქვეყნის/მხარის ოთხივე მიმართულებით მოქცეულ საზღვრებში ჩვენებას და განსაზღვრას ნიშნავს. ვახუშტი ბაგრატიონი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს - „მისცა საზღვარი“. ორიენტირები (ზღვა, მთა),

არს აწ „გაღმა-მჯარი“. „გაღმა-მჯარნი ელისენით“ მემარჯვენე სადროშო იყო ნეკრესელი ეპისკოპოსის, რომელიც ყოფილა „მწყემსი გაღმა-მჯარისა დიდოთურთ“ (ქართლის ცხოვრება 1973, 545, 561).

რომლებიც აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით არის მითითებული, ითვლება, როგორც „საზღვარი ქუეყანისა“.

ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს „სამზღვრული“, რომელიც ამ შემთხვევაში „შემოსაზღვრულს“ ნიშნავს - „ქუეყანა ესე სამზღვრული“ (ქართლის ცხოვრება 1973, 47). მას ერთგვარად შეესაბამება „არე“⁴. არე-მარეს სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც „გარეშემოსავით“ (ორბელიანი 1991, 63). „მზღვარი“ წყაროში - „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ მოიხსენიება, როგორც ტერიტორია, მიწა-წყალი და ხასგასმულია საქართველოს სამეფოს გარეთ მყოფი, რომლის გაფართოებაც შეიძლებოდა - „მზღვარნი, რომელნი მას დახუდეს მას გარეთ მისსა სამეფოსა ორად განფართებული“ (ქართლის ცხოვრება 1959, 124). „მზღვარი და არე“, როგორც „მხარე“ გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მეორე ტექსტში: თემურლენგის მიერ ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ბაგრატ V-ემ „მოიწია არეთა და მზღვართა საქართველოსათა“, რომელთან დაკავშირებით ბერი ეგნატაშვილი ასახელებს „კერძოთა და არეთა საქართველოსათა“, თემურლენგი „წარმოვიდა გულისწყრომით აღძრული, და მოიწია მზღვართა საქართველოსათა“ (ქართლის ცხოვრება 1959, 330, 456, 460). აღნიშნული ადასტურებს, რომ „კერძო“, ამ შემთხვევაში მხარეს, ადგილს ნიშნავს. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მესამე ტექსტი ამ მნიშვნელობით ასახელებს „კერძონი და ადგილნი“, „არენი და თემნი საქართველოსანი“ (ქართლის ცხოვრება 1959, 508). აღნიშნული სახელწოდებები არ გამორიცხავს და მოიცავს კიდევ მომიჯნავე სასაზღვრო მხარეებს.

საზღვარი, როგორც გამყოფი ხაზი ან მიჯნა მოხსენიებული აქვს ლეონტი მროველს, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინემ სომხეთისა და ქართლის მეფეებს თრდატსა და მირიანს შემდეგნაირად დაუწესა საზღვარი: „რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაქსსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 70). ამრიგად, ბიზანტიის იმპერატორმა ფიზიოგრაფიული საზღვარი დაუდგინა თავის ქვეშევრდომებს და ბუნებრივ საზღვრად არაქსისა და მტკვრის აუზების წყალგამყოფი ბამბაკის ქედი გამოიყენა.

საზღვარს, როგორც გამყოფ ხაზს, ჯუანშერიც აღნიშნავს: მაგ., „საზღვართა ზედა ქართლისათა და რანისათა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 140); მისივე ცნობით, „კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“⁵; ან კიდევ - არჩილ მეფეს აუშენებია ციხე „საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 235, 243). „მატიანე ქართლისას“ თქმით, სამშობლოში დაბრუნებულ უფლისწულ ბაგრატის ამაღას, „მოჰყვა თანა კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე საზღვართამდე მამულისა მისისა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 289). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებლის გამეფების დროს, „იყო მაშინ

⁴ არე-არად მკვლევარი განიხილავს, როგორც აქა-იქ (ორბელიანი 1991, 62). შდრ. არე - „ყანა, ველი, ადგილი“ (აბულაძე 1973, 9).

⁵ მურვან ყრუმ „შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა“, რაც გულისხმობს, რომ ამ შემთხვევაში იგი გამმიჯნავი საზღვარია (ქართლის ცხოვრება 1955, 235).

საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წალულის-თავი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 324). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „გურჯი ბოღაზი“ ანუ „საქართველოს ყელი“ „არს საზღვარი ბაიბურთის მთამდე საქართველოსა და ბერძენთა“ (ქართლის ცხოვრება 1973, 688); „ტყეტბად“ წოდებული გულგულა ყოველთვის მითითებულია ჰერეთის საზღვრად, ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ეს ჰევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა“ (ქართლის ცხოვრება 1973 547).

ვახუშტი ბატონიშვილი „საზღვარს“ ყველანაირი მნიშვნელობით მოიხსენიებს, როგორც მიჯნას, მაგ., „აღმოსავლით საზღვარი, ზღუა კასპიისა“, ასევე როგორც ტერიტორიას, მიწა-წყალს - მაგ., „საზღვარი მოვაკანისა“, „საზღვარი კავკასოსი“, „ლეკანის საზღვარი“⁶. ვახუშტი ბაგრატიონი ზოგიერთ მთათა სისიტემას **გამყოფ** მთად ასახელებს - მაგ., აღაბაბად წოდებული მთა „არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა“; ასევე, კავკასიონის ქედი - „განჰყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და ჰევისა“ (ქართლის ცხოვრება 1973, 313, 357).

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ავტორი საზღვარს, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, აღნიშნავს ასევე, **სანახის** მნიშვნელობით. მაგ., „სანახები მუხნარისა“ თარგმნილია, როგორც „მუხნარის საზღვარი“ („Մուխ[ն]արայ սահմանն“) (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი 1953, 107). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სანახები „ახლო-მახლოს“ ან „გარემემოს“ ნიშნავს (ორბელიანი 1993, 45).

„**საზღვარი ქართლისა**“, გარდა ქართლის კუთვნილი ტერიტორიისა, გულისხმობს, მომიჯნავე სასაზღვრო მხარეს. ლეონტი მროველის ცნობით, სომხეთის მეფე იარვანდმა „მოულო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე ... ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისთა საზღვარი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 44); ქართლის მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა „განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 45); ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ ქართველებმა, რომლებსაც ოსებიც ეხმარებოდნენ, ჯავახეთში დაამარცხეს უფლისწულ ზარენის ჯარი, რომელსაც „სდევნეს საზღვართამდე სომხითისა“, ზარენი ტყვედ ჩაიგდეს. ოსებს ზარენის მოკვლა სურდათ, მათი დაღუპული მეფეების სისხლისთვის, თუმცა ქართველებმა დაიცვეს იგი, რადგან ცოცხლად სჭირდებოდათ „ძიებისათვის საზღვართა მათთასა“. მართლაც, ზარენის დაბრუნებისა და მოლაპარაკების შემდეგ, „სომეხთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 49); აზორკმა და არმაზელმა სიმხნევით „უკუმოიხუნეს საზღვარნი ქართლისანი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 50); ლეონტი მროველის ცნობით, მირიანის გამეფების დროს, ირანის შაჰმა 40 000 რჩეული სპარსელი არ დასხა „ქართლისა საზღვართა“, „არამედ დასხნა ჰერეთს და მოვაკანს და სომხითს“ (ქართლის ცხოვრება 1955, 65); ლეონტი მროველის ცნობით, რანი და მოვაკანი „საზღვართა სპარსეთისაგანთა არს“ (ქართლის ცხოვრება 1955, 136); სამშვილდის ერისთავად დანიშნული ფეროზის შთამომავლები

⁶ როგორც კუთვნილი, განსაგებელი სივრცის აღმნიშვნელად იყენებს აგრეთვე ტერმინს „წილი“ ან „ნაწილი“, მაგ., „ბარდოსისი წილი“, „მოვაკანის წილი/ნაწილი“, „ჰეროსის წილი/ნაწილი“, „ლეკანის წილი“, „კავკასოსის წილი“ (ქართლის ცხოვრება 197 3, 47,48,49). წილი/ნაწილი ერთი მნიშვნელობით ნიშნავს „კერძი“, „მხარე“ „სამკვიდრებელი“ (აბულაძე 1973, 197, 325, 544).

(„შვილნი ფეროზისნი“) როდესაც დაატყვევა ირანელმა ერისთავმა, „ქუეყანა მათი, საზღვარი ქართლისა“ მისცა ვარაზ-ბაქარს (ქართლის ცხოვრება 1955, 137); „შუმანიკის წამებაში“ აღნიშნულია, რომ ვარსკენ პიტიახშმა „მოიწია საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა“ (მარტვილობაჲ შუმანიკისი 1978, 79), რაც მიუთითებს, რომ ჰერეთი ქართლის შემადგენელი ნაწილია.

ლეონტი მროველის ცნობით, ვარაზ-ბაქარს განუდგნენ კლარჯები და მიუდგნენ ბიზანტიელებს, რის გამოც, „დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანთამდე“ (ქართლის ცხოვრება 1955, 137). ეს სწორედ ის საზღვარია, რომელიც კლარჯეთის ერისთავს მისცა ფარნავაზმა - „არსიანთგან ზღუამდე“ (ქართლის ცხოვრება 1955, 24). შემდგომი მეფეებიდან მირდატ ფარსმანის ძე „ბერძენთაგან ემიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა“. მირდატმა იგი ვერ დაიბრუნა, სპარსელებს ჩაუვარდა ტყვეთ და ტყვეობაში გარდაიცვალა (ქართლის ცხოვრება 1955, 138). კლარჯეთის დაკარგვის ფაქტს ჯუანშერიც ადასტურებს (ქართლის ცხოვრება 1955, 146).

ვახტანგ გორგასალმა შეძლო კლარჯეთის დაბრუნება, ბიზანტიასთან დიპლომატიური ურთიერთობა დინასტიური ქორწინებით განამტკიცა (ცოლად შეირთო იმპერატორის ასული), სწორედ, ვახტანგის დამსახურებაა, როდესაც „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჰვენი რომელნი მოსდგმანან ლადოთა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 177). ვახტანგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კლარჯეთის სასაზღვრო მხარეს, რასაც არტანუჯის ციხის და ეკლესია-მონასტრების (ოპიზა, მერი, შინდობი, ახიზა) მშენებლობაც ადასტურებს. ვახტანგ მეფემ თავის ძუძუმტე კლარჯეთის ერისთავად დანიშნა. აღნიშნული მიუთითებს, რომ ერთგულ ადამიანს ანდო ქართლის სამეფოსთვის მეტად მნიშვნელოვანი ეს სასაზღვრო მხარე. მან ასევე, ეპარქია შექმნა კლარჯეთში, საეპისკოპოსო ცენტრი ახიზის ეკლესია გახდა (ქართლის ცხოვრება 1955: 198). მეფის აზრით, „უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენ აქა ყოფად არს“ (ქართლის ცხოვრება 1955, 178). აქ მეფე მარტო თავშესაფარს კი არ გულისხმობს, არამედ პოლიტიკურ საყრდენს, რაც განაპირობებდა ამ მხარის შემომტკიცებას. ამრიგად, ვახტანგმა დაიბრუნა ის ტერიტორიები, რომლებიც ქართლის სამეფოს საზღვრებში შემოდიოდა (შდრ. „საზღვარნი ქართლისანი“)

სასაზღვრო სივრცე⁷, ასევე გულისხმობს იმ ტერიტორიას, რომელსაც განაგებს კონკრეტული ხელისუფალი. ახლად გაქრისტიანებულ მირიან მეფეს იმპერატორი კონსტანტინე უსურვებს, რომ „განდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცეთური საზღვართაგან შენთა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 128). არჩილ მეფემ, რომელიც განუდგა სპარსელებს, „განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“, ასევე მოიქცა შემდგომ ვახტანგ გორგასალიც,

⁷ საზღვარი ასევე იგულისხმება, როგორც სივრცის, არეს მნიშვნელობით. გადატანითი მნიშვნელობით, „საზღვარი ჰაერისა“ არის ჰაერის სივრცე, ხოლო „საზღვარი ვარსკულავთასა“ არის, როგორც „ვარსკულავთა არე“. ჯუანშერი ასახელებს „შუა საზღვართა ქართლისათა“, სადაც ქართლის სამეფოს შუაგული სივრცე იგულისხმება, „მოიწია საზღვართა ქართლისათა“ გულისხმობს ქართლის სასაზღვრო სივრცეს.

რომელმაც „მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 140, 178). არჩილ მეფეს მისი ძე მირდატი განუმარტავს, რომ მის ქორწინებას ბარზაბორდ პიტიახშის ასულ საგდუხტთან უნდა უზრუნველყო ის, რომ სპარსელებს არ აეოხრებინათ „ეკლესიანი და საზღვარნი ჩუენნი“, „შეურყეველად ვიპყრნეთ საზღვარნი ქართლისანი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 141), ანუ დაცული იქნებოდა ქართლის საზღვრებში მოქცეული ტერიტორია და საზღვრები არ შეიცვლებოდა. პოლიტიკური ქორწინება იყო გარანტია სასაზღვრო სივრცეზე ლეგიტიმაციის აღსადგენად. სამწუხაროდ, სასაზღვრო მომიჯნავე ტერიტორია ხშირად ხელიდან ხელში გადადიოდა. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ, „კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვს პირი“ (ქართლის ცხოვრება 1955, 226).

გამეზობლება საზღვრებთან მოახლოებას გულისხმობდა - მაგ., გიორგი II-ის დროს თურქები გაუმეზობლდნენ ჩვენს საზღვრებს ან სასაზღვრო სივრცეს, ტერიტორიებს - „მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 318).

„საზღვართა მიხუმა“ მომიჯნავე სასაზღვრო ტერიტორიის წართმევას ნიშნავდა მოწინააღმდეგის მხრიდან. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანი“ გიორგი III-ეს **„ზღვართა დამდებელს“** უწოდებს (ქართლის ცხოვრება 1959, 3), რაც მიუთითებს, რომ იგი ზრუნავდა ქვეყნის მომიჯნავე ტერიტორიების შენარჩუნებისთვის. ისტორიკოსი ასევე აღნიშნავს, რომ გიორგი III-ემ „აღვლნა ყოვლითურთ საზღვარნი პაპათა და მამათანი“ (ქართლის ცხოვრება 1959: 11), ანუ შემოიარა მამა-პაპათა სამფლობელო. როგორც ჩანს, მეფეთა ზნეში შედიოდა **„აღვლანი საზღვართა მიმართ“**. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ქვეყნის აღმშენებლობასა და მართვის საქმეში მეფის ფუნქციებში შედიოდა **„კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი“** (ქართლის ცხოვრება 1955, 351).

საზღვრის, როგორც გამყოფი ხაზის სტრატეგიულობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადასასვლელ გზებს, საზღვართან მიმართებაში მნიშვნელოვანია **კარის, ყელის, უღელტეხილის, მებოძირის** სეგმენტით გადასასვლელთა სახელწოდებები, რომლებიც, თავის მხრივ, აკონტროლებდნენ კონკრეტულ საზღვრებს და გზების მიმართულებებს. აღნიშნული დასახელების სახელწოდებათა ეტიმოლოგია ცალკე კვლევის საგანია.

„საზღვრების დამცველს“ **„მონაპირე“** ეწოდებოდა, რომელიც მომდინარეობს **„ნაპირის“**-გან. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ნაპირი ზოგად ყოველთა კიდეთა სახელი არს“, მას ასევე უსადაგებს **„კიდურს“** (შდრ. „სანაპირო - კიდურთა ადგილი“ (ორბელიანი 1993, 45; აბულაძე 1973, 340): „მივიდა კიდით ქუეყანისადთ“, „უფალმან შექმნა სოფელნი და უშენი და კიდენი სოფლისანი“ (აბულაძე 1973, 198). აღნიშნულს ადასტურებს ასევე სახელწოდებები **„ზღვს-კიდე“** და **„ზღვს-პირი“** (აბულაძე 1973, 171). ყურადღებას იმსახურებს ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა **„ველის-პირი“** („ველის თავი და ბოლო“ (აბულაძე 1973, 155), **„კბოდის-პირი“** („ფლატე“) (აბულაძე 1973, 194), **„მთის-პირი“** („მთით კერძო“ (აბულაძე 1973, 240). ნაპირისგან მომდინარეობს **„ვნაპირობ“** - **„სანაპიროსა ვინახავ“** ანუ ვიცავ (ორბელიანი 1991, 575, 269). **„მონაპირობა“** - **„მონაპირედ ყოფნას“** ნიშნავს

(ქართლის ცხოვრება 1959, 581). „ნაპირი/სანაპირო“, იგივე საზღვარია (შდრ. „განაპირა მხარეები“⁸): „მონაპირენი, რომელნი იყვნეს, ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებლად, და რომელნი შიგნით იყვნეს იგინი სანაპიროთა იაჯდეს“ (ქართლის ცხოვრება 1959, 129). ტერმინ „მონაპირე“-ზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, მიუხედავად იმისა, რომ „ნაპირი“ ხშირად არ გვხვდება წყაროებში, „იგი მაინც საყოველთაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო“ (ჯავახიშვილი 1982, 184). მკვლევარს მიაჩნია, რომ მონაპირე „სახელმწიფოს ახალშემოერთებული ქვეყნის და საზღვრის მცველად და გამგედ ითვლებოდა“⁹ (ჯავახიშვილი 1982, 340).

„ლაშა-გიორგის დროინდელი მემატანის“ ცნობით, გიორგი III-ეს „ყოველნი სანაპირონი მისისანი უშიშად ჰქონდეს“ (ქართლის ცხოვრება 1955, 367). აღნიშნულს განაპირობებდა არა მარტო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა, არამედ საქართველოს გარშემო არსებული პოლიტიკური ერთეულების ყმადნაფიცობით მორჩილება ან მათზე უპირატესობის მოპოვება. აღნიშნულს ადასტურებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ ცნობა, როდესაც გიორგი III-ის დროს, მაჰმადიანთა ლაშქარი „მოადგეს ციხესა გაგისასა. აიღეს იგი და მოაოჭრნეს ყოველნი საზღვარნი“ (ქართლის ცხოვრება 1959, 11). აქ იქგულისხმება, როგორც საზღვრის დარღვევა, ასევე სასაზღვრო სივრცის და მომიჯნავე მხარის დარბევა.

გაგი ერთ-ერთი სანაპირო, ანუ სასაზღვრო მხარე იყო, „რომელნი ჰქონდა ზაქარიას მჭარგრძელსავე, ვარამის მამასა, და ესენი მუნ მონაპირობდეს“. ზემო ჯავახეთში მონაპირეობდა სარგის თმოგველი (მხარგრძელი) და შალვა თორელი, ზემო არტანში „მესხნი მონაპირებდეს“ (ქართლის ცხოვრება 1959, 129). თამარის დროს, როდესაც კარი აიღეს, მეფემ „დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ“, ივანეს უბოძეს „კარული და მისი ქვეყანა“ (ქართლის ცხოვრება 1959, 92). სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრისკენ „ქუემოთ ნაპირის კერძ“ გრიგოლისძენი და მახატლისძენი „მონაპირობდეს“, რომელთა შიშით იორისა და მტკვრის პირის სამოვრებს თურქები ისე ვეღარ „აწყენდეს“ (ქართლის ცხოვრება 1959, 130). სასაზღვრო მომიჯნავე ხაზებს ბასილი ეზოსმოდღვარი შემდგენაირად აყალიბებს: „ზორაკერტით რაცსამდის, გაგით განმამდის და ჯავახეთით სპერამდის“ (ქართლის ცხოვრება 1959, 144).

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გვამცნობს თუ რა ევალეზობდათ მონაპირეებს: „მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი“ (ქართლის ცხოვრება 1959, 130). როგორც ჩანს, ქვეყნის სანაპირო სასაზღვრო მხარეების მომთაბარეთა თავდასხმისგან დაცვის გარდა, მეზობელი ქვეყნების დარბევაც, შიშის დანერგვის მიზნით, მონაპირე ერისთავების საქმეს შეადგენდა.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მესამე ტექსტი ასახელებს „ნაპირის მცველს“, რომელსაც კონკრეტული სივრცის დაცვა ევალეზობდა. ამ შემთხვევაში ამ ტერმინით მოიხსენიება

⁸ შდრ. „მენაკიდურე“ – „განაპირა [მხარე]“ (ქართლის ცხოვრება 1955, 361, 444).

⁹ რადგან „მარზპანი“ საზღვრის მცველს ნიშნავს და ირანის მიერ დაპყრობილი ქვეყნების უზენაეს მმართველებად ინიშნებოდა, ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას: „მარზპანი“ და „მონაპირე“ – „ეს ორი სახელი სხვადასხვა თანამდებობის აღმნიშვნელი იყო, თუ ერთისა და იმავესი“, თუმცა, მას ახალი ინფორმაციის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებლად მიაჩნდა (ჯავახიშვილი 1982, 339-340).

ყარაბახის ხანი, იგი ყიზილბაში შაჰის დავალებით, ვალდებული იყო „არეზის-წყალს გამოღმართი ლაშქრის“ შეყრისა, თუ თბილისს საფრთხეს შეუქმნიდა ქართლის მეფე (ქართლის ცხოვრება 1959, 510). შაჰ-თამაზის მხარეს გადასულ დაუთ-ხანს, რომელსაც ებრძოდა სვიმონ I და მოსვენებას არ აძლევდა მას, „წელიწადში თვითოს ნაპირის ხანს მეფის დავითის მცველად თავისის ლაშქრით მოუყენებდენ ქალაქის ციხეში“ (ქართლის ცხოვრება 1959, 512).

გვიან შუა სს-ში ადგილი ჰქონდა ქართლის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო სივრცეში მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლებას, რომელთაც გვიანდელი ქართული წყაროები „ელის“, „თათრის“ ან „საქართველოს თათრის ელების“ სახელწოდებით მოიხსენიებენ. საქართველოს სასაზღვრო ზოლში ჩასახლებული თურქმანული ტომები საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოს. უზუნ ჰასანის გარდაცვალების შემდეგ, ბერი ეგნატაშვილის და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მესამე ტექსტის ავტორის ცნობით, „ჩაუჭდეს ბარათიანნი, დაიფორაქეს ელი და დაჯოცეს მრავალი თათარი ყანისაგან შეწყალებული“ (ქართლის ცხოვრება 1959: 342, 479). ვახუშტი ბაგრატიონი უფრო აკონკრეტებს, რომ კონსტანტინე მეფეს, ბარათაშვილების დახმარებით, გაუნადგურებია თურქმანები: „მიუჭდნენ ელთა, დატევებულთა ყენისაგან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყუე-ყვნეს, აღიღეს ალაფნი დიდძალნი და შემოიქცნენ გამარჯვებულნი“ (ქართლის ცხოვრება 1973: 385). ახალი „ქართლის ცხოვრება“ მათ **„მონაპირე თათრებს“** უწოდებს, რომელიც ასევე დაარბიეს, დახოცეს და განდევნეს, როდესაც ხალილ ბეგი შემოესია საქართველოს და აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხეების გამაგრება დაიწყო (ქართლის ცხოვრება 1959: 344, 484). მათ მიერ დაკავებული და გამაგრებული „საზღვარი ქართლისა“ (როგორც სასაზღვრო მომიჯნავე ტერიტორია) გამოიყენებოდა ქართველებზე თავდასხმის პლაცდარმად.

ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება სახელწოდებები: **„მართებული საზღვარი“**, **„სამართლიანი სამზღვარი“**, **„მიუხვეჭელი სამზღვარი“**, **„სარწმუნო სამზღვარი“**, **„უზადო საზღვარი“**. მართალია, ეს სახელწოდებები შეწირულობის სიგელებში კონკრეტულ პუნქტებთან მიმართებაშია მოხსენიებული, თუმცა, შინაარსიდან გამომდინარე, იგი გულისხმობს, რომ ზოგადად ქვეყნის პოლიტიკური საზღვრისთვისაც გამოეყენებინათ. ყურადღებას იმსახურებს ასევე, ტერმინი **„საზღვარ-წესდადებითა“** (ქსმ II 1965, 431), რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც გარკვეული ან კონკრეტული საზღვრის დაწესების წესი.

ზემოაღნიშნულის გარდა, სიგელებშიც „მზღვარი, სამძღვარი, საზღვარი, საზღვარი“ შემოფარგლულს (შდრ. „სამზღვრული“) ნიშნავს, სამართლებრივად დადგენილს (ქსმ II 1965, 135). ძირითად ხდებოდა ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნით შემოსაზღვრა: ოპიზისა და მიჯნამორის მონასტრებს შორის საზღვრის დაწესების შესახებ სიგელში აღნიშნულია **„ნიშნით ზღვარნი“**: „სამწყრის წყალი“ (სამხრ.), რომელიც შავშეთის წყალს უერთდება, „ტიხარის კლდე“ (სამხრ.), „ეჟუანთა ქედი“ (დას.), „დიდუბის ხერთვისი“, „საქათმის კარი“, „დიდი ქედი ერთკარი“ (ჩრ.) – „ესე ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნამორელთა ზედა“ (ქისკ 1984, 33). „დასტურლამალის“ მიხედვით, სადაც საუბარია ქართლისა და კახეთის გამმიჯნავ ხაზზე, მოიხსენიება **„ნიშნით ზღვარნის“** შემდეგი სახელწოდებები: „კვემძრის ყვითელი ფლატე“, „ქვიტკირის გაღმა სერი“, „მაღალი ლილო“, „დიდი

მუხა“, „ამქავეთის თავი“, „ქვაბთ კლდისთავი“, „ვაზიანის თავის გორაები“, მაყვალთ წყარო“ და სხვ. (ქსმ II 1965, 271).

გარდა ბუნებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ძეგლებით საზღვრების მონიშვნისა, სპეციალურ სასაზღვრო ნიშნად იყენებდნენ დიდ, რაიმე ნიშნით გამორჩეულ ქვებს, რომელსაც „სამანი“ ეწოდებოდა. „სამანი და სამძღვარი ქვეყნისა მთითა, წყლითა და კლდითა ანუ დიდი ქუის დადგინებითა დაამტკიცონ“, ამ პროცესს „გასამნა“ ეწოდებოდა, რომელიც აუცილებლად მოწმეთა თანდასწრებით უნდა განხორციელებულიყო - „კაცთა შეყრით და მრავალთა დამოწმებით, რომე დიდი ქუა სამნათ დაადგინონ“. ასეთი „სამნებით“ ხდებოდა სოფლების, სავარგულების, მინდვრების გამიჯვნა (ქსმ I 1963, 377). „სამანი და სამძღვარი“, ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც მოსაზღვრე სივრცის გამმიჯნავი ნიშანი.

ქართული სამართლის უბრწყინვალესი ძეგლის „დასტურლამალის“ ბოლო პუნქტია „თრიალეთის სამძღვრები“, სადაც მრავალი ინფორმაციაა სამანის შესახებ: „სათიბში სამანი ზის“; ან „სათიბში სამანი ჩაგვისვამს“; „გზის ქუეით წყლის პირას სამანი ზის“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სამანი“ სომხურია, ქართულად საზღვარს ნიშნავს (ორბელიანი 1993, 37). ძველ სომხურადაც „საჰმან“ (საჰსაჰ) არის საზღვარი, კიდე (ხუდაბაშიანი 1838, 353).

გამმიჯნავ, სასაზღვრო ნიშნად შეიძლებოდა გამოეყენებინათ „ჯვრიანი ქვა“, „გელაზის ქვა“, „ამართული ქვა“, „დიდი ქუა“. ასეთ ქვებს „სამანი ქუა“ ან „ქვასამანი“ ეწოდებოდათ, რომლის იდენტურია „სამძღვარი ქუა“, ან კიდევ - „დიდი სამძღვრის ქუა“, „დიდი სამანი ქუა“ ან „დიდი ქვასამანი“. ეს ინფორმაცია ქართული ენის დიალექტებმაც შემოგვინახა: გურულ დიალექტზე „სამანე“ არის „საზღვარი, მიჯნა, ზღვარი, ზღვრის დასადებად მიწაში ჩაფლული სამი ქვა“. იგივე მნიშვნელობა აქვს მთიულურად „სამანა“-ს. მოხვეურ დიალექტზე კი „სამან“-ი ნიშნავდა თემიდან მოკვეთილი ადამიანისთვის მიჯნის დადებას, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ მას აღარ შეეძლო თემის ტერიტორიაზე შესვლა. სამანს, როგორც მომიჯნავის აღმნიშვნელს, სემანტიკურად შეიძლება უკავშირდებოდეს მთიულურ დიალექტზე „სამანავგრო“ - საზიარო (ლლონტი 1984, 467).

საზღვრის სანიშნე ქვის ჩასმის გარდა ხდებოდა ქვის აღმართვა, ამ პროცესს „სამძღვართ გაჩენა“ ეწოდება. საორეინტაციო ნიშნულად დასახელებულია „ქუიანი მალლობი“, „ქუაყრილი“, „ქუაკაცი“, კარკნალი“, „დიდი ლოდი“. გამიჯვნის პროცესი მოხსენიებულია, როგორც „გაესამძღრა“, „გაუსამძღვრეთ“, „გაუსამძღრა“, რაც კონკრეტულ ადგილზე შემდეგ ქვების ჩასმას ნიშნავდა. საზღვრის შეცვლა არ შეიძლებოდა. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ „ქვეყნის შიდა საზღვრის ხაზზე აღმართულ ეკლესიებს, ციხე-სიმაგრეებს, ხიდებსა თუ სხვა ნაგებობებს, ასევე საზღვრის მოსანიშნი ფუნქცია ჰქონდა“ (კანდელაკი 2009, 11).

ნებისმიერი სასაზღვრო დავა ხელმწიფეს უნდა მოეგვარებინა, მისი ბრძანების გარეშე მოხელეთა მიერ გარიგება ვერ შედგებოდა. ასეთი დავების შემოწმება და გამიჯვნის უზრუნველყოფა შესაძლოა, ყოველ წელს ხდებოდა. საზღვრის მდგრადობის გარანტიად მოწმეთა ჩვენება აუცილებელი იყო, რომელთაც უნდა დაემოწმებინათ მახლობელი ხევის, გორაკის, კლდის და ა.შ. არსებობა, ასევე გამმიჯნავი ქვის ჩასმის ან აღდგენის პროცესი. მოწმე უნდა ყოფილიყო არა

ერთი, არამედ, ორი ან სამი, ცრუ ჩვენება დასჯადი იყო, ვისაც მეტი მოწმე ეყოლებოდა, იმის სასარგებლოდ გადაწყდებოდა საქმე (ქსმ I 1963, 318, 346, 349)¹⁰.

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისას“ 241-ე მუხლი ეხება „სამზღვრის გარიგებას“: „რომელიც სამნის ჩამსმელია, თავად ძველი სამანი უნდა კარგად მონახოს, თუ ვერ იპოვის, ასეთს ალაგას გასამძღვროს, რომ ან გორა, ან ჳევი, ან კლდე ემოწმებოდეს, თორემ სამანი ზევრს ალაგს მოგლეჯილა და ნიშნიანის ადგილით უფრო არ მოიშლება“ (ქსმ I 1963, 542).

ნებისმიერი სივრცის და ადგილის, სასოფლო-სამეურნეო მიწის მითვისების მიზნით ადგილი ჰქონდა „სამანის მოგლეჯას“, რომელიც დასჯადი იყო და მისი აღდგენა ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებით უნდა მომხდარიყო. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისას“ 242-ე მუხლში, რომელიც „სამნის მოგლეჯას“ ეხება აღნიშნულია: „როგორი საქმითაც მჯდარიყოს, დიდი იყოს თუ მცირე, თავის ჳელის სისხლის ფასი ჯურუმი¹¹ გარდიჳადოს, ამისთვის რომ სამნის მომგლეჯელი ჳელმოსაჳრელი არის“ (ქსმ I 1963, 543).

ზოგჯერ, სტიქიური უბედურების შედეგად ირღვეოდა გამმიჯნავი საზღვარი, ზოგჯერ კი მდინარე კალაპოტს შეიცვლიდა. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისას“ 184-ე მუხლში („წყლის სამძღვრის ცილებისა ასრე იქნას“) ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ თუ „მდინარემ წყალმა ნადენი ალაგი დაადოს, ხან იქით გარდავარდეს და ხან აქეთ, და ამაზე ცილება მოჳდეს, ჩვენი სამძღვარი წყალი არისო და რაც ჩემკენ დარჩა, ჩემი არისო, მაგრამ ამით სამძღვარი არ შეიძლების. როდესაც თაობიდამ ამ მდინარის პირს აშენებულა, გაღმა თუ გამოღმა, სადაც მაშინ წყალს უდენია და ამ სოფლებს იმ წყლის პირამდი სჳერია, ისრევ უნდა ეჳიროსთ“¹² (ქსმ I 1963, 527).

გვიან საუკუნეების დოკუმენტურმა მასალამ შემოგვინახა ზუსტი ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობდა სამართლებრივი დავა ტერიტორიების გამმიჯნავი შიდა საზღვრის დაცვისთვის.

¹⁰ ვახტანგ VI-ის სამართლის კოდექსში, სადაც შეტანილია „სომხური სამართალი“, 366-ე მუხლის მიხედვით, თუ სოფლის აშენებას გადაწყვეტდნენ და არ იცოდნენ, ვისი ნაწილი იყო, მაშინ მას გაყოფით დაამტკიცებდნენ, მაგრამ თუ ადრე არსებულ, გავერანებულ სოფელს მოაშენებდნენ, მაშინ იგი „უწინდელის სამძღვრით და სამნით“ უნდა დამტკიცებულიყო. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ სოფელი უკვე დიდი ხნის იავარქმნილი იყო და არ იცოდნენ სად ფიქსირდებოდა მისი „სამძღვარი და სამანი“, დაკარგული იყო ან შეცვლილი, „იმ რიგის გასაყოფად მიახხან საყდროვანი და სხვანი“ (ქსმ I 1963, 362).

¹¹სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჯურუმი არის „დანაშაულზე წანართმევი“, ხოლო „ჯურმეცი/მეჯუმრუცე“ - მეკობრე და მპარავი (ორბელიანი 1993, 464; 1991: 471). ვახტანგ VI -ის სამართლის კრებულის „ბერძნულ სამართალში“ აღნიშნულია - „გრიგოლ საკვირველ მოქმედისა მიერ თქმული მათთვის, რომელნიცა ავაზაკებრ სხვის საქონელს მოიტაცებენ და რომელნიცა სამანს მოგლეჯენ და სხვაგან ჩასმენ, რათა ვენაჳი ანუ მიწა ამით შეიმატონ“. 36-37 -ე მუხლი ეხება მსგავსი შინაარსის დანაშაულს, რომლის მიხედვით დამნაშავეები არიან ეკლესიათაგან განშორებულნი ვითარცა შეჩვენებულნი“ (ქსმ I 1963, 141). ასევე, 47-ე მუხლის მიხედვით, „რომელმანც წართოს ვისმე ვენაჳი, სახლის ადგილი ანუ ზოსტანი ანუ სხვა რამე ამისთანა, და რომელმაც მოგლიჯოს სამანი და სხვაგან ჩასვას, რომელმანც ეს ქნას, ორი ზომა მისცეს პატრონთა, ერთიორად მისცეს“ (ქსმ I 1963, 144).

¹² შემდეგ მუხლში: N185 - „მეწყერი რომ მოგლეჯდეს“ [პოვნისა ასრე იქნას], განმარტებულია, რომ ამ მუხლის ტექსტი არც ერთ ხელნაწერში არ არის აღნიშნული (ქსმ I 1963, 527).

იყო შემთხვევები, როდესაც მოწინააღმდეგენი ადრე გარიგებულ დოკუმენტაციას არ სჯერდებოდნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ, ამას „სამძღვრების მოშლა“ ან „სამძღვრების დაგლეჯა“ ეწოდებოდა. ცდილობდნენ, ფიცით დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე. საზღვრების შესახებ სამართლის დადგენა „მეფეს და მის დარბაისელთ“ შეეძლოთ, მეფის ან ბატონიშვილის სახელით ხდებოდა „სამძღვრის გარიგება“, „გასამნა“ ან „სამძღვრად გაჩენა“, „სამძღვრების ჩასხმა“. საქმეზე იგზავნებოდნენ მდივნები, ზოგჯერ მდივანბეგიც, როგორც ჩანს, ამ საკითხის მოგვარება სამდივნოს უწყებას ეკუთვნოდა¹³.

დავის შემთხვევაში, თუ ადგილზე შესწავლა არ იქნებოდა საკმარისი, საზღვრების გადასინჯვა ხელახლა ხდებოდა. ზოგჯერ კონკრეტულად, სასამართლო მოითხოვდა, სპეციალური მოწმეების წარმოდგენას და დაფიცებას, რომ სადაო საზღვარი „გამონაფიცი“ ყოფილიყო, თუ მხარე ადვილად შეასრულებდა აღნიშნულს, მაშინ დავა მის სასარგებლოდ გადაწყდებოდა, თუ კი ვერ შეასრულებდა, მაშინ მოწინააღმდეგე მხარეს დაანებდნენ. დაფიცება ხდებოდა ხატზე, სპეციალური მოწმეების თანდასწრებით. მაგრამ ზოგჯერ ესეც ვერ შველოდა საქმეს, რადგან სასამართლო განჩინებაში გვაქვს ინფორმაცია, რომ ადგილზე შესწავლის შემდეგ, კონკრეტული მხარისთვის ხდებოდა ზოგიერთი „მიწის გაშვება“. ამ ფაქტის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო „ულაპარაკობა“, როდესაც მხარე კონკრეტულ ტერიტორიაზე თავის უფლებებს ვერ ამტკიცებდა. იყო შემთხვევა, როდესაც, სამართლებრივად, ფიცს არ ითვალისწინებდნენ და თვითონ მეფის ხალხი იღებდა გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულებაც გამოიხატებოდა „მველი სამანი“ ქვის ან ხის დაფიქსირებაში, ახლის ჩასმაში და მითითებაში, რომ მოწინააღმდეგეთა ნაწილები ამ ნიშნის გასწვრივ იქნებოდა.

ზოგჯერ სამნით ხდებოდა სახასო სოფლების გამიჯვნა გარშემო სოფლებისგან, რომლებიც თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ სამნებს. მსგავს შემთხვევაში, ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად, ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით, მდივან შერმადინმა „სრულად სახასო სოფლების სამძღვრები, რომლებიც გარშემო სოფლების შუა სამანი დაედვათ და ერთმანეთის შეჯერებით ეჭირათ, ყველა იმის ალაგებით და სამძღვრებით დაწერა“ (ქსმ IV 1972, 183, 221, 222, 229). სამნებს იყენებდნენ აგრეთვე გაყრის დროს, სამნები ჰქონდათ ეკლესიისთვის შეწირულ მიწებსაც, რომელიც იწირებოდა „მისითა მამულითა“ და მისითა“ მზღვრითა“ (შდრ. „სვეტისცხოვლის სამანნი“) (ქსმ III 1970, 190). ალექსანდრე II-ის 1579 წლის სვეტიცხოვლისადმი მამულების განახლების სიგელში აღნიშნულია, რომ მეფის ბრძანებით წარავლინეს „ამა სამანთა და სირონთა“¹⁴ დამსხმელნი“ მოწმენი,

¹³ „დასტურლამალში“ მოიხსენიებიან ოთარ მდივანი და ნიკოლოზ მაღალაშვილი, რომელთაც „არწევანს შუა გაესამძღვრა“, რომელზეც შემდეგ ქვები იქნა ჩასმული (ქსმ II 1965, 324-327). ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის დროინდელ 1706 (10.07) წლის სიგელში მოიხსენიება საგინაშვილი ბეჟან, რომელსაც დაევალა საზღვრების გადასინჯვა ორ მხარეს შორის (ქსმ IV 1972, 221). 1706 (28.07) წლის სიგელში მოიხსენიება მდივანბეგი ვახტანგი და გიორგი მდივანი, რომლებიც ასევე არეგულირებდნენ სასაზღვრო დავას, ამ დოკუმენტიდან საინტერესოა ის ფაქტი, რომ მდივანბეგის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთ მხარეს „მიწები გააშვებინეს“ (ქსმ IV 1972, 222). 1710 წლის ერთ-ერთი სიგელის მიხედვით, მდივან შერმადინს დაევალა სახასო სოფლების საზღვრების გამიჯვნა (ქსმ IV 1972, 229).

¹⁴ შდრ. „სირა“ - რიგი, (ორბელიანი 1993, 93), „სირ“-ი/სირა“ მესხურ, ჯავახურ, ქართლურ, გურულ, ზ/აჭარულ, ქიზიყურ, ინგილოურ დიალექტებზე - რიგი/რიგად. მწკრივი/მწკვრივად (დლონტი 1984, 494).

რომელთა შორის იყვნენ კახეთის სამეფოს მაღალჩინოსნები (ქსმ II 1965, 201). „დასტურლამალში“ ქართლისა და კახეთის გამყოფი ხაზის აღწერისას მოიხსენიება აგრეთვე „სამანაო გზა“, რომელიც სასაზღვრო გზას ნიშნავს (ქსმ II 1965, 271).

ქართულ წყაროებში დაცული მასალის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ საზღვრის გამმიჯნავი პუნქტის აღსანიშნავად იყენებდნენ, აგრეთვე, ტერმინ „ძეგლს“. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ ძეგლი „სამძღვარივით/სამძღვარსავით“ გამოიყენებოდა. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მონღოლთა ერთ-ერთი ლაშქარი, „დადგეს მთის მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს [შორის] ოპიზას და მიძნაძორსა“. ამ ადგილის საზღვრისთვის საორიენტაციო ფიზიკურ მახასიათებლად დასახელებულია „წურამდე ძეგლისა“, „დიდი იგი ნალუარევი“, იგი უერთდებოდა შავშურას, მონღოლთა ჯარი მოვარდნილ წყალს ჩაუტანია (ქართლის ცხოვრება 1959, 260).

ამრიგად, ქართულ წყაროებში საზღვარი ორი მნიშვნელობით იხსენიება: ერთი როგორც გამყოფი, გამმიჯნავი ხაზი, რომელიც ძირითად შემთხვევაში ბუნებრივ წყალგამყოფებს მიჰყვება და ტერიტორია, პოლიტიკური კუთვნილების დამადასტურებელი, რომელიც ასევე მოიცავს მომიჯნავე სასაზღვრო მხარეებსაც. საზღვრისა და სასაზღვრო ტერიტორიის დარღვევა სასაზღვრო დავებს იწვევდა, რაც ცალკე კვლევის საგანია.

Ketevan Kutateladze

Border names in Georgian sources

The protection of the state border is the cornerstone of the country's independence, so the explanation of the terminology denoting the border is of great importance. In “Kartlis Tskhovreba”, the border is mentioned with two meanings, as a dividing line between different countries and the border as a region, a politically owned territory.

Boundary is derived from “Bound”. The creation of a border is called “Delimitation” (“Draw a boundary-line”). According to the texts of “Akhali (New) Kartlis Tskhovreba”, “Area”, “Kerdzo” (land/territory), “Place” (territory), “Temi” (district) somehow correspond to border in the meaning of a region. These names do not exclude and even include adjacent borderlands.

In “Kartlis Tskhovreba” the regions of Klarjeti, Samshvilde, Tsunda and Hereti Saeristavo (principality) are called “Border of Kartli”, what means the border regions belonging to the Kingdom of Kartli, which were sometimes encroached on by outside forces.

“Border seizure” meant seizing the adjacent border area. The King of Georgia was obliged to protect the border. Iv. Javakhishvili considers that “Monapire”, which comes from “Napiri”, was the guardian and governor of the newly united country and border. The third text of “Akhali Kartlis Tskhovreba” mentions “Edge guard”.

In historical documents we find the titles: “correct, just, credible, flawless border”. “Border charter” means the rule of establishing a concrete border. Noteworthy is the “Border mark” used to establish the boundary.

Large stones with a distinctive sign were used as a border mark, which was called “Samani” (“Samani Kua”, “Kvasamani”, “Samdzguari Kua”). The erection of a “Saman” for the border was called the border establishment.

In Gurian dialect, “Samane” is “border, edge, and three buried stones to set the border”. “Samana” has the same meaning in Mtiulian dialect.

In Mokhevian dialect, “Saman” meant setting a boundary for a person cut off from the community, which was a sign that he could no longer enter the territory of the community. It is interesting that in old Armenian “Sahman” () is a border, edge.

For the purpose to appropriate the territory, there was a “Saman tearing away” called “Border demolition”, which was punishable. In “Dasturlamali” is mentioned “Samanao Gza” (road) at describing of dividing line between Kartli and Kakheti, which means a border road.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აბულაძე 1973. აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973

ბერძენიშვილი 1985. ბერძენიშვილი დევი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი - თორი და ჯავახეთი, თბილისი, 1985

ბერძენიშვილი 1990. ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990

კანდელაკი 2009. კანდელაკი დალი, თოლორდავა რევაზ, დემეტრაშვილი ოთარ, საქართველოს საზღვრები, თბილისი, 2009

მარტვილობაძე შუმანიკისი 1978. იაკობ ცურტაველი, მარტვილობაძე შუმანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ (1938), თბილისი, 1978

ორბელიანი 1991. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991

ორბელიანი 1993. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1993

ქართლის ცხოვრება 1955. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955

ქართლის ცხოვრება 1959. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959

ქართლის ცხოვრება 1973. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973

ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი 1953. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953

ქისკ 1984. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, "ქართული ისტორიული საბუთები" - IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984

ქსმ I 1963. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI -ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1963

ქსმ II 1965. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965

ქსმ III 1970. ქართული სამართლის ძეგლები - ტომი III - საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) - ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ - თბილისი, 1970

ქსმ IV 1972. ქართული სამართლის ძეგლები - ტომი IV - სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) - ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ - თბილისი, 1972

ღლონტი 1984. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალექსანდრე ღლონტი, თბილისი, 1984

ხუდაბაშიანი 1838. ხუდაბაშიანი ალექსანდრე, სომხურ-რუსული ლექსიკონი, ნაწილი II, ერევანი, 1987 (სომხურ ენაზე)

ჯავახიშვილი 1982. ჯავახიშვილი ივანე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი, 1982